

საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნება

მონაცემთა გაცვლის სააგენტოს საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა (2013-2016 წ.წ.)

პრიორიტეტის დასახელება: ელექტრონული მმართველობის განვითარების პროგრამა

განხორციელების სავარაუდო ვადები:
2013-2016

პრიორიტეტის ძირითადი პროგრამები:

1. საქართველოს ერთიანი სავაჭრო ქსელის შექმნა;
2. მოქალაქის პორტალი - ელ-სერვისების განვითარება და მხარდაჭერა;
3. მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურის განვითარება და მხარდაჭერა;
4. დოკუმენტების გაცვლის ერთიანი სისტემის განვითარება და მხარდაჭერა;
5. ინფორმაციის ერთიანი სახელმწიფო რეესტრის განვითარება და მხარდაჭერა;

პრიორიტეტის დასაბუთება, არსებული სიტუაციიდან გამომდინარე

დღეისათვის ქვეყნის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელებისას ელექტრონული მმართველობის პრინციპებზე დაფუძნებული ერთიანი სისტემის შექმნა, ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკის შემუშავება და მისი განხორციელების ხელშეწყობა.

ელექტრონული სერვისები წარმოადგენს სახელმწიფოს მიერ განხორციელებული მომსახურების ყველაზე უფრო იაფ, მოსახერხებელ და სწრაფ მომსახურებას.

ქვეყნის ინფორმაციული ინფრასტრუქტურის მუდმივი და სწრაფი განვითარების პირობებში, სახელმწიფო მმართველობის პროცესები სულ უფრო მეტად ხდება დამოკიდებული საინფორმაციო სისტემებზე. ხშირ შემთხვევაში ეს სისტემები სხვადასხვა პლატფორმის გამოყენებით არის აგებული და მათ შორის კავშირის დამყარება დიდ რესურსებს მოითხოვს. ინფორმაციული ინფრასტრუქტურის განვითარების პირობებში, სახელმწიფო სტრუქტურები მუდმივად ახალ და განახლებულ ელ-სერვისებს სთავაზობენ ერთმანეთს, მოსახლეობასა და ბიზნესს ორგანიზაციებს. იმისათვის, რომ ქვეყნის ნებისმიერო სუბიექტისათვის ინფორმაცია ადვილად მისაღები გახდეს, საჭიროა ზემოთ აღნიშნული სხვადასხვა საინფორმაციო სისტემების გაერთიანება ერთ ლოგიკურ გეოგრაფიულად განაწილებულ სისტემაში და ყველა ელ. სერვისის მიწოდება ერთი ფანჯრის პრინციპით, რის საშუალებასაც გვაძლევს მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურა - საქართველოს სამთავრობო კარიბჭე (Georgian Governmental Gateway).

დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით:

ნატა გოდერძიშვილი - მონაცემთა გაცვლის სააგენტოს იურიდიული სამმართველოს უფროსი

ტელ: (+995 32) 291 51 40 (116); ელ.ფოსტა: foi@dea.gov.ge

საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნება

პრიორიტეტის მოკლე აღწერა

მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურა, საქართველოს სამთავრობო კარიბჭე, არის აპარატურულ/პროგრამული კომპლექსი, რომელიც ქმნის სახელმწიფოს მასშტაბით ერთიან გეოგრაფიულად განაწილებულ ინფორმაციულ სისტემას. სისტემაში ჩართულ სუბიექტებს საშუალება აქვთ გაცვალონ ინფორმაცია ელ-სერვისების საშუალებით. მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურაში სხვადასხვა საინფორმაციო სისტემების დაკავშირება ხდება მათი მხრიდან მინიმალური დანახარჯებით. უკვე არსებული საინფორმაციო სისტემებისთვის საჭიროა მხოლოდ მონაცემთა ადაპტერის დამატება, რომელიც აუცილებელია ერთიან სისტემასთან კავშირის უზრუნველსაყოფად. ზემოთ აღნიშნული სისტემა საშუალებას გვაძლევს შეიქმნას ახალი კომბინირებული ელექტრონული სერვისები და გაცილებით ეფექტურად, ნაკლები დანახარჯებით უზრუნველვყოთ ერთი ფანჯრის პრინციპით მომსახურების მოსახლეობისთვის მიწოდება.

2012 წელს საბოლოო სახე მიიღო მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურამ, დასრულდა მისი ტესტირება და გაეშვა სამუშაო რეჟიმში. ამავე წელს მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურაში ჩაერთო იუსტიციის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირები - საჯარო და სამოქალაქო რეესტრები, ფინანსთა სამინისტრო, ჯანდაცვის სამინისტრო, და შსს. 2013 წელს იგეგმება ელექტრონული სერვისების მომწოდებელი ყველა სახელმწიფო ორგანიზაციის ჩართვა მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურაში.

2013 წელს დაგეგმილია მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურის სარეზერვო დატა-ცენტრის შექმნა, რათა მიღწეული იქნას მაქსიმალურ მდგრადობა და ბიზნეს-პროცესების უწყვეტობას მაღალი ხარისხი.

მონაცემთა გაცვლის სისტემის ერთ-ერთი თანმდევი პროდუქტია მოქალაქის პორტალი. ეს არის ერთიანი ვებ ინტერფეისი, სადაც თავმოყრილია სახელმწიფო და ბიზნეს-სექტორის მიერ რეალიზებული სხვადასხვა ელ. სერვისი. აღნიშნული პორტალი 2012 წლიდან, ერთი ფანჯრის პრინციპით ემსახურება საქართველოს მოქალაქეებს, არარეზიდენტებს და ბიზნესის სუბიექტებს. 2012 წლის პირველ ნახევარში მოქალაქის პორტალის საშუალებით მიწოდებოდა 46-მდე ელექტრონული სერვისი სახელმწიფო დაწესებულებებისგან და 55 კომუნალური სერვისი, 2013 წელს დაგეგმილია ამ სერვისების რიცხვის გაზრდა და ახალი, კომბინირებული სერვისების დამატება.

მონაცემთა გაცვლის ერთიან ინფრასტრუქტურასთან ერთად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ინფორმაციის ერთიანი სახელმწიფო რეესტრის განვითარებას და მხარდაჭერას, რომლის მიზანსაც წარმოადგენს ხელი შეუწყოს საქართველოს საჯარო სექტორში არსებული რეესტრების, მონაცემთა ბაზების, მომსახურების და ინფორმაციული სისტემების ერთიანი სახელმწიფო რეესტრის განვითარებას, ასევე საჯარო სექტორში ინფორმაციის მიღებას, გადაცემას და თავსებადობას ზედმეტი რესურსების ხარჯვის გარეშე, აგრეთვე მოაწესრიგოს რეესტრების, მონაცემთა ბაზების, მომსახურებისა და ინფორმაციული სისტემების შექმნის, გამოყენებისა და შეცვლის ძირითადი პრინციპები, მოახდინოს რეესტრების, მონაცემთა

დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით:

ნატა გოდერძიშვილი - მონაცემთა გაცვლის სააგენტოს იურიდიული სამმართველოს უფროსი

ტელ: (+995 32) 291 51 40 (116); ელ.ფოსტა: foi@dea.gov.ge

საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნება

ბაზების, მომსახურების და ინფორმაციული სისტემების წარმოების წესების სტანდარტიზაცია და განსაზღვროს სახელმწიფოს ინფორმაციული პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები რეესტრების, მონაცემთა ბაზების, მომსახურებისა და ინფორმაციული სისტემების სფეროში. 2011 წელს სააგენტოს მიერ ინიცირებული იქნა შესაბამისი კანონი, რომლის მიხედვითაც მონაცემთა გაცვლის სააგენტო კოორდინაციას უწევს მონაცემთა მფლობელთან არსებული რეესტრების, მონაცემთა ბაზების, მომსახურების, და საინფორმაციო სისტემების წარმოების ერთგვაროვანი სტანდარტების დადგენასა და შესრულებას. 2012 წლის 6 თვის მდგომარეობით ერთიან სახელმწიფო რეესტრში ჩართულია 90-მდე ორგანიზაცია, რომელთაგანაც რეესტრში ძირითადი ინფორმაცია წარმოდგენილი აქვს 70%-ს. 2013 წლისთვის დაგეგმილია თოთოეულ ორგანიზაციასთან ინდივიდუალურად მუშაობა მათ მიერ ერთიან სახელმწიფო რეესტრში ასახული ინფორმაციის სრულყოფისთვის.

დღეისათვის უმეტეს სახელმწიფო ორგანიზაციაში რეალიზებულია დოკუმენტბრუნვის მართვის ელექტრონული სისტემა. უკვე დღის წესრიგში დგას „ელექტრონულად დაბადებული დოკუმენტის“ სასიცოცხლო ციკლის გახანგრძლივება, ანუ მათი ორგანიზაციებს შორის მიმოქცევის აუცილებლობა. ამ ამოცანის გადასაწყვეტად 2012 წელს ელ-დოკუმენტთა გაცვლის სისტემისთვის შეიქმნა დოკუმენტის გაცვლის სტანდარტი. 2013 წელს დაგეგმილია სხვადასხვა ორგანიზაციის ეტაპობრივი ჩართვა ამ სისტემაში. 2013 წლის დასაწყისიდანვე დაგეგმილია მოქალაქეებისა და ბიზნესისთვის ელექტრონული დოკუმენტების და შეტყობინებების გარანტირებულად მიწოდების სერვისის ამუშავება. ამ სერვისის სააგენტო შესთავაზებს ნებისმიერ ორგანიზაციას, რომელიც ჩართული იქნება მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურაში.

2012 წელს დაიწყო, ხოლო 2013 წელს დასრულდება საქართველოს ერთიანი სავაჭრო ქსელის პროექტის განვითარება. პროექტი გულისხმობს საქართველოში საკონტინენტო გადაზიდვების, იმპორტ-ექსპორტის პროცედურების მართვის სისტემის შემუშავებას. ამ პროექტში ჩართული მხარეებია: საბაჟო, ფოთისა და ბათუმის პორტები, საქართველოს რკინიგზა, გადამზიდავი ხაზები, ტერმინალები და სხვ. ეს სისტემა დაეხმარება იმპორტიორებს, გადამზიდავ ხაზებს და ა.შ. გაიმარტივონ იმპორტ-ექსპორტის პროცედურები, შეამცირონ ქაღალდის დოკუმენტების მიმოცვლა, დაზოგონ სახსრები და ამ პროცესის ნებისმიერ ეტაპზე მარტივი გახადონ ინფორმაციის მიღება;

მოსალოდნელი შედეგები:

დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით:

ნატა გოდერძიშვილი - მონაცემთა გაცვლის სააგენტოს იურიდიული სამმართველოს უფროსი

ტელ: (+995 32) 291 51 40 (116); ელ.ფოსტა: foi@dea.gov.ge

საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნება

შუალედური შედეგი 2013 წლისთვის: შექმნილია, ტესტირებულია და მუშა მდგომარეობაშია საქართველოს ერთიანი სავაჭრო ქსელის სისტემა, დოკუმენტების გაცვლის სისტემაში ინტეგრირებულია საჯარო რეესტრისა და ფინანსთა სამინისტროს კანცელარიის პროგრამები, მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურაში ჩართულია საჯარო სამსახურების მიერ განხორციელებული ყველა მნიშვნელოვანი ელექტრონული სერვისი, მონაცემთა გაცვლის რეესტრში ინფორმაციის წარმოდგენ ყველა ორგანიზაციას საჭიროებისამებრ მიეწოდება მონაცემების სრულყოფის რეკომენდაციები.

საბოლოო შედეგი: იმ სახელმწიფო ორგანიზაციათა 100% და მთელი კრიტიკული ინფრასტრუქტურა, რომელთაც რეალიზებული აქვთ ელ. სერვისები, ჩართულია მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურაში. ზემოთ აღნიშნული სერვისები ხელმისაწვდომია მოქალაქეთა პორტალის მეშვეობით. მონაცემთა ერთიან სახელმწიფო რეესტრში ასახულია ყველა საბიუჯეტო ორგანიზაციის და კრიტიკული ინფრასტრუქტურის ყველა სუბიექტის საინფორმაციო სისტემებისა და რეესტრების მონაცემები. ერთიან სავაჭრო ქსელში ჩართულია საერთაშორისო ვაჭრობაში მონაწილე ყველა ბიზნეს სუბიექტი და შესაბამისი სახელმწიფო დაწესებულებები. სისტემა სრულიად ფარავს ტვირთვის საზღვარზე გადმოსვლის, განბაჟების, დასაწყობების, ქვეყნის შიგნით ტრანსპორტირების და საზღვრის დატოვების ყველა ბიზნეს-პროცესს ნებისმიერი სახის ტვირთისათვის.

შედეგების შეფასების კრიტერიუმები:

2013 წლის ბოლოსთვის:

- მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურაში ჩართულია ელ-სერვისების მწარმოებელი სახელმწიფო ორგანიზაციების 100% და კრიტიკული ინფრასტრუქტურის 30%, ხოლო დღის განმავლობაში მონაცემთა გაცვლის სისტემის მეშვეობით დამუშავებული შეტყობინებების რაოდენობა სულ მცირე 100-ჯერ აღემატება სისტემაში ჩართული ორგანიზაციების რიცხვს.
- მოქალაქის პორტალში ინტეგრირებულია არანაკლებ 120 ელექტრონული სერვისი;
- მოქალაქის პორტალზე დარეგისტრირებული მომხმარებლების რაოდენობა შეადგენს არანაკლებ 50000-ს, ხოლო პორტალის ვიზიტორების რაოდენობა თვის განმავლობაში არის არანაკლებ 100000
- ინფორმაციის ერთიან სახელმწიფო რეესტრის მიერ დამუშავებულია საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ მოწოდებული ინფორმაცია და მომზადებულია არანაკლებ 20 რეკომენდაცია.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით:

ნატა გოდერძიშვილი - მონაცემთა გაცვლის სააგენტოს იურიდიული სამმართველოს უფროსი

ტელ: (+995 32) 291 51 40 (116); ელ.ფოსტა: foi@dea.gov.ge

საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნება

- სახელწიფო დაწესებულებებს შორის ელ. დოკუმენტების გაცვლის ერთიან სისტემაში ჩართულია არანაკლებ 10 მსხვილი საბიუჯეტო ორგანიზაცია;
- ელ. დოკუმენტის და შეტყობინებების გარანტირებულად მიწოდების სერვისში ჩართული ორგანიზაციების რაოდენობა იდენტურია მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურის შესაბამისი მონაცემისა, ხოლო მოსახლეობისათვის გაგზავნილი შეტყობინებების ნაკადი თვის განმავლობაში არის არანაკლებ 5000.

2016 წლის ბოლოსთვის:

- მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურაში ჩართულია ელ სერვისების მწარმოებელი სახელმწიფო ორგანიზაციების და კრიტიკული ინფრასტრუქტურის 100%, ხოლო დღის განმავლობაში მონაცემთა გაცვლის სისტემის მეშვეობით დამუშავებული შეტყობინებების რაოდენობა 200-ჯერ აღემატება სისტემის წევრი ორგანიზაციების რიცხვს.
- მოქალაქის პორტალზე დარეგისტრირებული მომხმარებლების რაოდენობაა არანაკლებ 800000, ხოლო პორტალის ვიზიტორების რაოდენობა თვის განმავლობაში არის არანაკლებ 1000000
- ინფორმაციის ერთიან სახელმწიფო რეესტრის მიერ დამუშავებულია საბიუჯეტო ორგანიზაციების და კრიტიკული ინფრასტრუქტურის მიერ მოწოდებული ინფორმაცია და მომზადებულია არანაკლებ 100 რეკომენდაცია.
- სახელწიფო დაწესებულებებს შორის ელ. დოკუმენტების გაცვლის ერთიან სისტემაში ჩართულია ყველა მსხვილი საბიუჯეტო ორგანიზაცია;
- ელ. დოკუმენტის და შეტყობინებების გარანტირებულად მიწოდების სერვისში ჩართული ორგანიზაციების რაოდენობა იდენტურია მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურის შესაბამისი მონაცემისა, ხოლო მოსახლეობისათვის გაგზავნილი შეტყობინებების ნაკადი თვის განმავლობაში არის არანაკლებ 30000.
- ერთიანი სავაჭრო ქსელის სისტემა მოიცავს ყველა სახის საზღვაო და სახმელეთო ტვირთს (და შესაბამის ბიზნეს-პროცესებს), სისტემაში ტრანზაქციების რაოდენობა აღემატება წელიწადში 0.5 მლნს.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით:

ნატა გოდერძიშვილი - მონაცემთა გაცვლის სააგენტოს იურიდიული სამმართველოს უფროსი

ტელ: (+995 32) 291 51 40 (116); ელ.ფოსტა: foi@dea.gov.ge